სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

3 ივლისი 2023 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 106

2023 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

"სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 16 ივლისის N140/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 25 აპრილის №64 ბრძანებით დამტკიცებული პირობების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და „ჟ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N807754, 03.07.2023) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2023 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" გამარჯვებული პროექტების ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის მონაწილე პირებმა არაუგვიანეს 2023 წლის 14 ვლისის 18:00 საათისა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) გრანტის მიმღები საჯარო სკოლის მიერ პროექტისთვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო ანგარიში და ცნობა გაცემული ბანკის მიერ, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) გრანტის მიმღები ფიზიკურ პირების საბანკო ანგარიში და ცნობა გაცემული ბანკის მიერ იმის შესახებ, რომ მათ მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს დანართით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2023 წლის 31 აგვისტოსი.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი

დანართი
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2023 წლის 3 ივლისის N106 ბრძანებით

2023 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამარჯვებული პროექტები		
N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური
1	SCR-23-125	ქიმია და დანაშაულის ადგილი
2	SCR-23-252	სპილენძ(II)-ის იონებით დაბინძურებული წყლის ბუნებრივი საშუალებებით გასუფთავების მეთოდის შემუშავება
3	SCR-23-464	უმაღლესი ალგებრის წრფივი მეთოდების გამოყენება ეკონომიკურ ამოცანებში.
4	SCR-23-075	მდინარე არაგვის წყლის ხარისხის შეფასება ბიოლოგიური ინდიკატორებით (ანანური-ფასანაურის მონაკვეთი))
5	SCR-23-313	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის გოგირდოვანი წყლების ჰიდროქიმიური კვლევა და შეფასება (ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლისა და სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოქალაქევის წყლების მაგალითზე).
6	SCR-23-805	ჩვენ, როგორც ნორჩი მკვლევარები
7	SCR-23-462	მინანქრებისა და ჭიქურების მომზადების, ნაკეთობებზე დატანის ტექნოლოგიების ფიზიკურ-ქიმიური თავისებურებების კვლევა
8	SCR-23-111	ანტიბიოტიკების, პესტიციდებისა და მძიმე მეტალების ზეგავლენა თაფლის ხარისხზე შიდა ქართლში.
9	SCR-23-188	რამდენად სუფთაა მცირე მდინარეების წყალი ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე?
10	SCR-23-082	ფუნქციები არასტანდარტულ ამოცანებში